საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №48
2017 წლის 27 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ” საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, 42-ე და 43-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს:

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში (სსმ III, 2008 წლის 8 დეკემბერი, №175 მუხ.1791, სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.460) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სს „თელასის“ მიერ გამანაწილებელი ქსელით ელექტროენერგიის გატარების ტარიფები:

ა)220/380 ვოლტი	-	6.472	თეთრი/კვტსთ;
ბ)3,3-6-10 კილოვოლტი	-	2.712	თეთრი/კვტსთ;
გ)35-110 კილოვოლტი	-	2.058	თეთრი/კვტსთ;.“

2. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. სს „თელასის” ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები

ა)220/380 ვოლტი	-	6.472	თეთრი/კვტსთ;
ბ)3,3-6-10 კილოვოლტი	-	2.712	თეთრი/კვტსთ;
გ)35-110 კილოვოლტი	-	2.058	თეთრი/კვტსთ;.“.

3. მე-10 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის:

ა.ა) „ა“–„ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა)	220/380 ვოლტი (არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი)	-	18.067 თეთრი/კვტსთ;

ბ) 3,3-6-10 კილოვოლტი - 14.307 თეთრი/კვტსთ;“;

ა.ბ) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) 35-110 კილოვოლტი - 13.653 თეთრი/კვტსთ.“;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, სს „თელასის“ აბონენტებისათვის, საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის (მოსახლეობისათვის) 220/380 ვოლტ ძაბვაზე მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები (30 კალენდარულ დღეში):

ა) 101 კვტსთ-ის ჩათვლით - 12.325 თეთრი/კვტსთ;

ბ) 101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით - 15.725 თეთრი/კვტსთ;

გ) 301 კვტსთ-დან და მეტი - 19.525 თეთრი/კვტსთ.".

მუხლი 2

1. დადგენილება, გარდა პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 1 იანვრამდე.
2. ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2017 წლის 30 ივნისის N1187-IIს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ[1]“ ქვეპუნქტის ამოქმედებამდე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**ირინა მილორავა**
კომისიის წევრი	**გიორგი ფანგანი**
კომისიის წევრი	**მაია მელიქიძე**
კომისიის წევრი	**გოჩა შონია**